15-ს მაისს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

მწყემსი

№ 10.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Микеми" (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდვათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. საჭიროა თუ არა საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება?— ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში III.—თუშ ფშავ-ხევსურეთის რელიგიური მდგომარეობა ჯ მათი ძველი ჩვეულებანი.—საისტორიო მახსნები.—მოკლე ბიოგრაფიული ცნობა გაიოზ ნატვლიშვილზე, პირველ თელავის სემინარიის რექტორზე.—წერილი რედაქტორთან.—სხვა-ჯ-სხვა ამბები ჯ შენიშვნები. — ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.—სწავლა და მეცნიერება ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲗ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲖᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ. მოკლე სიტყვა ბდ. მ. დ. პარნასოვისა.—მართდ-მადიდებელი ეკკლესიის ღვთის-მსახურების ტიბიკონის ზოგიერთი კითხვების ახსნა ჯ განმარტება.—ნარკვი.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲢᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ?

Ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ჩვენი ეკკლესიის წირვა-ლოცვის დროს ხალხისაგან დაცალიერებისა და საზოგადოდ მლოცველთა ეკკლესიაში სიარულის მოსპობისა არის საეკკლესიო გალობის დავიწყება და, ზოგიერთ ეკკლესიებში, სრულებით მისი მოსპობა. ეს, ჩვენის აზრით, ისე ცხადია ყველასთვის, რომ ამის დამტკიცება და ამაზედ ლაპარაკი და წერა ტყუვილ-უბრალოდ დროს დაკარგვად მიგვაჩნია. რამ უნდა მიიზიდოს ხალხი ჩვენს ეკკლესიებში? ქადაგებითი სიტყვა ძლიერ იშვიათად ესმის მათ და გულის დამატკბობელ გალობას ხომ სულ ვერ გაიგონებენ! სდგას მარტო ერთი მედავითნე კლაროსზე, კითხულობს წიგნებს, რომლის კითხვიდამ ხალხს არ ესმის არც მეოთხედი; გალობს, მაგრამ თვითონაც არ იცის, რას გალობს და როგორ!..

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ გალობას დიდი მნიშვნელობა აქვს წირვა-ლოცვის ასრულების დროს. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ დაწყობილ გალობას შეუძლია მლოცველს დაავიწყებინოს ამ ქვეყნის ათას-ნაირი შფოთი და ზრუნვა და მიაქციოს ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲓᲛᲘ საეფრებლად. ეს თითქმის ყველას კარგად აქვს გამოცდილი.

ᲗᲣᲗᲘ ჩვენში დრო, როდესაც საეკკლესიო გალობა ძლიერ კარგად ცოდნებიათ თითქმის ყველგან, მაგრამ დღეს მარტო ორმა სამმა პირმა თუ იცის ეს გალობა, თორემ სხვებს სულ დავიწყებული აქვსთ.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ გალობის შესახებ დღეს დიდი წერა და ბაასი არის აღძრული მთელ რუსეთის იმპერიაში. ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ მოსაზრებანი მოჰყავსთ საეკკლესიო გა-

ლობის უმჯობესად წაყვანისათვის და ცდილობენ, რომ ძველი კილოს გალობა შემოიღონ და ამ ბოლოს დროს შეკეთებული გალობის კილო მოსპონ; ხმარობენ სხვა-და-სხვა საშუალებას, რომ ძველ ნოტებზე დაწერილი გალობა შემოიღონ. ერთსა და იმავე დროს ცდილობენ ნოტებით გალობის სწავლის გავრცელებას სასწავლებლებში და ხალხში. დიდი ხანია, რაც გალობის მცოდნე პირებმა შენიშნეს, რომ იქ, სადაც ნოტებზე არ არის გადაღებული საეკკლესიო გალობა, ხშირად იცვლება და ბოლოს ისეთი კილოს გალობა შეეპარებათ ეკკლესიებში, რომელიც შეუფერებელი არის და გალობა სულ გადასხვავდება ხოლმე.

ნაბერძნეთის ეკკლესიებშიაც დიდი ხნიდამაქვსთ ყურადღება მიქცეული საეკკლესიო გალობაზე. აქ არათუ მარტო ნოტებზე აქვსთ გადაღებული საეკკლესიო გალობა, არამედ თვითონ საეკკლესიო წიგნებიც ზოგიერთი ნახევრობით ნოტებით არის სავსე. ჩვენ ვნახეთ ერთი მოხრილი ტანის ბერძნული კურთხევანი, რომელშიაც რაც საგალობელია, სულ ნოტებზე არის გადაღებული წიგნშივე.

ორი სიტყვით ყოველს ადგილას ნოტებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ და უნოტოთ გალობის შესწავლა და მისი წარმატება შეუძლებლად მიაჩნიათ. ამ დროს, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენში გამოსულან ზოგიერთები და ამტკიცებენ, რომ საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება საჭირო არ არისო. უნოტოთაც კარგად შეიძლება ქართული გალობა გავრცელდესო!.. როგორ შეიძლება ეს? თუ სხვაგან უნოტოთ საქმე არ გაკეთებულა და საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღება მიუცილებელ საჭიროდ დაუნახავსთ, ჩვენში რატომ დაებადათ ზოგიერთებს სულ სხვა წინააღმდეგი შეხედულება? რით შეიძლება ეს ახსნას კაცმა?

ჩისთვის ვბეჭდავთ ჩვენ ზოგიერთ ლოცვებს, როდესაც თითქმის ყველამ ისინი ზეპირათ ვიცით? რისთვის ხარჯავენ რუსები ფულებს ნოტების საბეჭდავად, რომელთაც რუსულათ საეკკლესიო გალობა მშვენიერად აქვსთ შესწავლილი? აქ სულ სხვა მიზეზია. იმათ, ვინც წინააღმდეგნი არიან ქართული საეკკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღებისა, ალბად არ ესმისთ ნოტების მნიშვნელობა. ყოველად სამწუხაროა, რომ ამისთანა პირებში ურევიან ზოგიერთი ქართველთა სამღვდელო პირნიცა. ამ უსაფუძვლო აზრს ხელს უწყობენ ზოგიერთი ქართული გალობის მცოდნენიცა, რომელნიც შიშობენ, რომ ნოტებმა მათ შემოსავალი არ მოუსპონ, რადგან მაშინ გალობის ზეპირ-გადაცემა იმდენად საჭირო აღარ იქნება. „საშუალო რიცხვით ეკკლესიები ორ მანეთს კი არა ათ შაურსაც ვერ გადიხდიანო". ეს რა სათქმელია და მერმე ისიც, სამწუხაროდ, ქართველი მღვდლისაგან? მთელ საეკსარხოსოში 1800 ეკკლესიამდის ირიცხება. ამათში ღარიბი ეკკლესიები რომ გამოვრიცხოთ, ათასი ეკკლესია მაინც დარჩება და ამ ეკკლესიებში თითეულს ოთხ-ხუთ წელიწადში თითო თუმნის გადახდა როგორ გაუჭირდება? რამდენს იხდის ეხლა სასწავლებლების სასარგებლოდ თითო ეკკლესია? ლათინური, ბერძნული და სხვა ენების სასწავლებლად თუ კი ვადებთ ეკკლესიებს გადასახადს. ნუ თუ ცოდვა იქმნება, რომ საეკკლესიო გალობის აღსადგენად ეკკლესიამ ერთი თუმანი დახარჯოს?

იმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს საქმე დაშლილიყოს. თუ ამ საქმეს ხეირიანი ბოლო არ მიეცა, უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენ საუკუნოდ ქართულ საეკკლესიო გალობას. დღეს კიდევ მოიძებნება ოთხიოდე პირი, რომელთაც ქართული გალობა იციან და იმათ შემდეგ აღარავინ რჩება, რომ ნოტებზე ქართული გალობა გადააღებინოს ვისმეს. როგორც ეტყობა ქართული გალობის აღდგინების კომიტეტი გამჭრიახობით ვერ იქცევა ამ შემთხვევაში. საქართველოს ეკსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პაველ, რომელმაც ძლიერ მოიწადინა საეკკლესიო ქართული გალობის აღდგინება ჩვენში, იმედია, ამ საქმეს კეთილ ბოლოს მისცემს და მისცემს წინადადებას სამღვდელოებას, რომ მათ მოილაპარაკონ ამ საგანზე თავიანთ ყრილობაებზე. მათ უკვეთ იციან ეკკლესიების მდგომარეობა ქალაქ თფილისის მღვდლებზე, და მათ დაუკითხავად ამისთანა დიდი საქმის გარდაწყვეტა ოთხ-ხუთ პირს არც კი უნდა ჰქონდეს მინდობილი.

ჩომელიმე მიზეზთა გამო რომ ეს არც ერთი არ მოხდეს, ნუ თუ საზოგადოება ამ შემთხვევაში არაფერს იტყვის? ეკკლესიები და მღვდლები საზოგადოების არიან და არა საზოგადოება მათი. ნუ თუ ჩვენ საქართველოში აღარავინ მოიპოება ისეთი, რომ ეს საქმე ითავოს და ათი ათასი მანეთი შეჰკრიბოს ამ კეთილი საქმის დასაგვირგვინებლად? უნდა იცოდეს და ახსოვდეს ყველას, რომ თუ ქართული საეკკლესიო გალობა დაიკარგა, მაშინ მალე გამოვეთხოვებით ქართულ ენაზე წირვასაც...

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

III.

ჯეფის ბაღში მცხეთაში იდგა დიდი კვიპაროზის ანუ ნაძვის ხე. მეფემ ნინოს რჩევით მოჰკვეთა ეს ნაძვი და მისი ტოტები იხმარა ეკკლესიის სვეტებად. ეს ეკკლესია ააგო მირიანმა იქ, სადაც იყო მაყვლის ქოხი ნინოსი. აშენების დროს მოჰხდა სასწაული (ჩვენი ეკკლესიის გადმოცემით). ექვსი სვეტი რომ დასდგეს, მაშინ მეშვიდე სვეტისათვის ნაძვის ღერი უნდა დაედგათ, მაგრამ ვერას გზით ვერ შესძლეს მისი ადგილიდამ დაძრა, ვიდრე ციდამ ანგელოზები არ ჩამოვიდნენ და არ მოაგვარეს საქმე. ამავე დროს ნინომ გაიგო, როგორც ზეპირ გარდმოცემაა, რომ კვართი ᲝᲐფლისა მარხია მცხეთაში; იმავე სასწაულმა კიდევ ყველას აფიქრებინა, რომ კვართი უეჭველად უნდა ყოფილიყო მოკვეთილ ნაძვის ხის ქვეშ. *) მართლაც ნაძვს სდიოდა მირონი და ჰკურნებდაცა სნეულთა. ასრე ააშენეს პირველი ტაძარი საქართველოში. დაარსდა ჩვენში სამწყსო, ანუ ეკკლესია ᲝᲐფლისა ჩვენისა და დაწესდა სასულიერო წოდება, რომელიც პირველ დროში სულ მთლად შესდგებოდა ბერძენთაგან. მსტატე ეპისკოპოსი მალე, როგორცა ესთქვით, პატრიარქის ხარისხზედ აღყვანებულ იქმნა და ამიტომ მან საქართველოს ეპისკოპოსად აკურთხა ბერძენი ᲘᲝᲐᲜᲜᲔ და თვით წავიდა ახალი სამწყსოს წარსამართავად ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲘᲐᲨᲘ. მცხეთის ტაძარი, აღშენებული ᲯᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ სახსრად, ხსენებული სვეტის გამო დღესაც იწოდება სვეტი-ცხოველად. თქმულება არის, რომ იმ მეშვიდე სვეტს, რომელიც ახლაც იმყოფება მცხეთის ტაძარში, სულ მუდამ სდიოდა მირონი. ნაძვის ხიდამ აგრეთვე გააკეთეს ჯვრები, რომელთაგან ერთი დასდგეს მცხეთის პირ-და-პირ, არაგვის გაღმა გორაზე, იქ, სადაც ეხლა ჯვრის ეკკლესიაა; **) მეორე ᲣᲯᲐრმაში, *) მესამე ᲗᲮᲝᲢᲘᲡ გორაზე **) და მეოთხე სოფ. ᲑᲝᲓᲑᲔᲨᲘ.

ᲧᲔმდეგ ამისა მეფე და ნინო შესდგომია ზრუნვას ქრისტიანობის გასავრცელებლად სამეფოს შორეულ კუთხეებშიაც. როგორც სჩანს საეკკლესიო მატიანეთაგან, ჯართალელნი, ᲤᲮᲝᲕᲔᲚᲜᲘ, ᲒᲣᲓᲐ-მაყრელნი და სხვანი მთიულნი არ განათლულან მცხეთაში მეფესთან და სხვა ქართველებთან ერთად. აი ამათ მოსაქცევად და კავკასიონის ბნელს ღელეყურეში ქრისტიანობის დასანერგავად გამგზავრებულა იგივ წმიდანი.

,,ᲔᲬ უკვე, საყვარელნო ჩემნო, იელტოდეთ კერპთ-მსახურებისაგან'' (ᲙᲝᲠᲘᲜᲗ. ᲔᲠᲘᲡᲢ. წმ. მოც. პავლესი თ. 10, 14). მოდის თქვენი კერპების დასამხობად საკვირველი დედა-კაცი ესე ნინო. მართლაც ნინო ეპისკოპოზით ᲘᲝᲐᲜᲔᲗᲘ, მეფით, ᲔᲠᲗᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲗ და სხვ. წავიდა ᲬᲝᲠᲑᲐᲜᲡᲐ, მოუწოდა ჯართალელთა, ᲤᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ, ᲒᲣᲓᲐ-მაყრელთა და უქადაგა ,,ᲯᲕᲐრი ქრისტეანეთა, ᲭᲔᲨᲛᲐრიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ''. მაგრამ ᲤᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ და ზოგიერთ სხვა მთიულთ არ მოუმდომნიათ ქრისტიანობის მიღება და როდესაც მეფეს ამის გამო დაუმხია მათი კერპები, მაშინ იგინი გადასახლებულან ᲗᲣᲨᲔᲗᲨᲘ. ნინო და მისი ამალა წამოსულა ᲔᲠᲬᲝ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ, უქადაგნია მათთვის ქრისტიანობა და მათაც მიუღიათ. ᲐᲥᲔᲓᲒᲐᲜ ნინოს მოუსურვებია გამგზავრება რანს, მოსაქცევად მეფის მირიანის სიძის ᲤᲔᲠᲝᲖᲘსა, მაგრამ ოდესც მიუწევნია სოფ. ᲑᲝᲓᲑᲔᲛᲓᲘს, დაუძლურებულა და ამიტომ იქვე დაშთენილა და იქიდგან დაუწყია ქადაგება სჯულისა ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘსა და წარმართი ხალხი ᲙᲐᲮᲔᲗ-ᲭᲔᲠᲔᲗᲘსა უნათლია ნათლითა ᲭᲔᲨᲛᲐრიტითა ,,და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღვითა'' (ᲙᲝᲠ. ᲔᲠᲘᲡᲢ. წმ. მოც. პავ. 10, 2). მაგრამ დიდ-ხანს აღარ გაგრძელდა ჟამი მოღვაწეობისა წმიდისა ამის ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინასი. ᲘᲒᲘ ძრიელ დასნეულდა. მაშინ მოვიდენ მისა მეფის ძე

*) არც ერთგან ისტორიაში ჩვენ არ აღმოგვიჩენია, თუ რომელი მეფის, ან რა დროს პოვნილ და მიწიდამ ამოღებულ იქმნა ისეთი დიდი საუნჯე ეკკლესიისათვის, როგორიც არის კვართი უფლისა იესო ქრისტესი. მხოლოდ ყველანი დარწმუნებულნი არიან (იხ. სვინაქსარი 10 ივნისისა), რომ კვართი; პოვნის შემდეგ, სულ მუდამ ინახებოდა მცხეთის სამთავრო ტაძარში და ხან იყო გვადრუცში, ხანა ჯვარში (კვართზე დაწერილებითი ცნობები თავის ადგილას იქნება).

**) ეს ეკკლესია ლეკთაგან გაოხრდა 1787 წ. და აწ ჰგიეს ცალიერად პირის-პირ მცხეთისა, არაგვის მდინარის გაღმა გორაზე. ეკკლესია იწოდება აგრეთვე ჯაჭვის ეკკლესიად, თქმულება არის, რომელ ჯვარის ტაძრიდამ მცხეთის სობოროზე მაღლა ჰაერში გაბმული იყო ჯაჭვი. ჯვრის ტაძარში მცხოვრები წმ. ბერი ამ ჯაჭვზე გადადიოდა მცხეთაში საზრდოს გადმოსატანად. ერთხელ გადამავალმა ბერმა გულში ცოდვა გაივლო, ჯაჭვი გაუწყდა და თვითც ჩამოვარდა აღელვებულ მდინარის ზვირთებში.

*) უჯარმა ამ დროს დიდი და მრავალ მცხოვრებლებიანი ქალაქი იყო. ეხლა უბრალო სოფელია. მდებარეს გარეთ-კახეთში (კუხეთში).

**) თხოთი ის ადგილია, საცა მეფე მირიანმა გადასწყვიტა გაქრისტიანება და განათვლა. ამ ადგილას მირიანი ნადი-

რევი *) და მეუღლე მისი სალომე, აგრეთვე ეპისკოპოსი იოანნე და ყველამ მოინდომეს „წარმოყვანებად წმიდისა ნინოსი“ მცხეთად. ხოლო წმიდა ნინო არა ერჩდა. მაშინ წარვიდა თვით მეფე და სიმრავლე ერისა ძლიერისა და მივიდეს მის თანა და შეჰკრიბა სიმრავლე ერთა და ჰხედვიდა ყოველი იგი ერი პირსა ნინოსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისა და მოსწყვეედდიან ფესვსა სამოსლისა მისისასა, მიიღებდეს და ემთხვეოდეს სარწმუნოებით. და იძულებით ეეედრებოდეს ყოველნი დედოფალნი გარემოს მსხდომნი, რომელთა მოზდიოდეს ცრემლნი თვალთაგან მათდა განშორებისათვის მოძღვრისა მის და მოღვაწისა და სნეულთა მკურნალისა ხელოვანისა“ (ბატ. თეიმ. ისტ. გვ. 270).

Ოკანასკნელ წამებში თვისის სოფლად ცხოვრებისა, წმიდასა ნინოს, თხოვნისა მებრ დედოფლისა სალომე უჯარმოელისა და ბეროჟ აერისნელისა, უამბნია თვისი წარსული თავგარდასავალი ანუ, უკედ ესთქვათ, თვისი ბიოგრაფია. „იწყო სიტყვად წმ. ნინომ და იგინი (სალომე უჯარმოელი და ბეროჟ აერისნელი) სწერდეს და წარმოუთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დავსწერეთ ცხოვრება მის წმიდანისა და ნეტარისა“ (იქვე გვ. 271). შემდეგ ეპისკოპოსმა იოანნემ შესწირა უსასხლო მსხვერპლი და აზიარა წმ. ნინო ხორცსა და სისხლსა ჭრისტესა. წმიდამან ნინომ ღრმა მოხუცებულებაში (67 წ.) განუტევა სული თვისი დასაბამიდგან სოფლისა 5834 წ., 329 წ. ჭრისტესით, ქართლად მოსვლით მისითვე 25 წელსა. წმიდა გვამი მისი, მისივე ანდერძის ძალით, დამარხეს იქვე ბოდბეში, იქ, საცა ეხლა წმ. ნინას ეკკლესიაა, რომელიც ამ ბოლო დრომდის იყო სამიტროპოლიტო ტაძრად. **)

Ყემდგომად ნინოს დასაფლაევებისა, მეფე მირიანს მოუყვლია ჰერეთი, ქართლი და მთელი თვისი სამეფო და თითქმის ყველგან განუმტკიცებია ხალხი სარწმუნოებასა ზედა სამებისა ერთ არსებისა Ივთისასა.

Ჩქმულება არის, მერე საფუძვლიანი, რომელ ესე მირიან წასულიყოს ქოსკანტინოპოლს და ეხილოს დიდი იმპერატორი რომისა და საბედნეთისა ქოსტანტინე, რომელსაც დიდის პატივის ცემით მიუღია ჩვენი მეფე. აქედგან მირიანი გამგზავრებულა იერუსალიმად და უშოვნია ქართველთა ჯვარის მონასტრის ადგილი. მს ის ადგილია, „სადაცა ლოთმან, ძმის-წულმან აბრაამისმან, დანერგა სამი მუგუზი ერთად და სასწაულითა აღიზარდნეს იგინი ერთხედ, რომლითა დარწმუნებულ იქმნა ლოთ, რომელ მიეტევების მას ცოდვანი მისნი. ჯვარის მონასტრის ტრაპეზი სდგას ძირსა ზედა ლოთის ხისასა. ძირი იგი ხისა მის აქამომდე იხილვების ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა“. მირიან მეფის დროსვე დაწყებულა იერუსალიმში ქართველთა ჯვარის ეკკლესია. პირველად იგი ყოფილა მცირე, მემრე შემდეგ მეფეებს გაუდიდებიათ, გაუმშვენერებიათ და უჩუქებიათ დიდი მამულები საქართველოში.

ჩოდესაც მირიანი დაბრუნდა საქართველოში და სცნო თვისი უფროსი ძის რევის, ძახეთის მმართველის გარდაცვალება, მან ეს მხარეც შეუერთა თვისსა სამეფოს და მალე თვითონაც აღესრულა (342 წელს.) *). ბამეფდა ქოსტანტინესთან მძევლად მყოფი მეფის ძე ბაქარი.

Ქაქარს მამაზე მცირე ღვაწლი არ მიუძღვის ჩვენი ხალხის წინაშე. იგი მხურვალედ შეუდგა

რობდა. მან მოვლო სანახები მეხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლის ცხენედ. განვიდა თხემსა მთისასა, დაუბნელდა მათ ზედა მზე და იქმნა ვითაარცა ღამე ბნელი უკუნი. მეფემ ბევრი ეეედრა თავის ღმერთებსა, მაგრამ ამაოდ: შველა არ საიდამ იყო. მაშინ სთქვა მან: „ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯვარისა და თაყვანი ვსცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინასა სჯულსა ზედა რომთასა“. ასრეც მოჰხდა. (თეიმურ. გვ, 258).

*) რევი იყო ძე მირიანისა. მას ცოლად ჰყვანდა სალომე, რომელმაც აღწერა წმ. ნინას ცხოვრება და თავ გარდასავალი. რევი სცხოვრებდა უჯარმაში და განაგებდა კახეთსა და მის მიდამოსა.

**) პირველი ქვის ტაძარი ნინას საფლავზე ააგო მირიანის ძემ ბაქარმა. ეს ტაძარი განახლებულ იქმნა მიტროპოლიტის

იოანნესაგან (1837 წ.) აქაური მიტროპოლიტის სამწყსო იყო ქიზიყი კონდოლამდის და ესენივე გვირგვინოსან ჰყოფდენ ხოლმე კახეთის მეფეთა (Жизн. гр. св. Ил. Іос. გვ. 47, შენიშვა 29). წმ. ნინო მოციქულთა სწორად აღვიარებულ იქმნა ჩვენი ეკკლესიისაგან და მის დღეობად დაინიშნა 14 იანვარი, დღე ასრულებისა მისისავე. საგალობელი კი შეუდგინეს მე IV საუკ. გასულს.

*) მირიანს დიდსა, ჭრჩეულს სხვას ვისმე დავითს,
ამად ვითარმედ, იყვნეს უმძლეს უმხნესნი,
მეფენი პირველ სხვა და სხვათაგანს ტომთა,
მაგრა არა სთნდეს, მონად თვისად უფალსა,
ეშესაბამვის შესხმა მიცემად ქებით.
სხვა სავლე იქმნა, მირიან რჩეულ წმინდა,
გვემული სიბრმით განგებით შთაჭრილ-ცხენით
ამით ტყვისაგან, თავისუფალ ტყვეობის,
მცნობელი და მსწრაფლად განლვიძებული ღვთისად,
კერპთ მმუსრი ქრისტეს აღმმართები ჯვარის.

ქრისტიანობის გავრცელების საქმეს და აგრეთვე ხალხის განათლებისას. მან საბერძნეთიდგან გამოიწვერა განათლებულნი პირნი და თავის სამეფოს ყოველი კუთხისკენ გაგზავნა საქადაგებლად ქრისტიანობისა. მის დროს მოიქცნენ წარმართობიდამ ხევსურნი, აფხაზნი და მრავალი სხვა მთიულნი. ქრისტიანობის მკვიდრად დასამყარებლად ამავე მეფემ ააშენა მრავალი ტაძრები და დაწესა საეპისკოპოზო კათედრანი სხვა-და-სხვა ადგილას, მაგ. წილკანში, საცა ააგო წილკნის Ივთის-მშობლის მშვენიერი ეკკლესია და აგრეთვე სხვაგან. ბაქარმავე ეკკლესიებში შემოიღო ქართული წირვა-ლოცვა და გალობაცა, მიმსგავსებული ბერძნულის ხმისა. ბაქარი ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობდა, რათა ქართული ეკკლესია დაეყენებინა სამშობლო ნიადაგზე. ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ხალხში გაევრცელებინა განათლება და ამნაირად მოემზადებინა მამულისა და ეკკლესიისათვის მოსამსახურე პირნი. ამის მიზეზით მან მრავალგან დაარსა სკოლები, საცა სჯულისა და სხვა საგანთა გარდა ასწავლიდნენ აგრეთვე ბერძნულ და ასირიულ ენათა. ჩვენს ენაზე გადმოათარგმნინა ბევრი სამღვთო წიგნები. მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა ბრძენსა და განათლებულსა ამა მეფეს განგრძობა ჩინებულისა სამსახურისა მამულისათვის. იგი აღესრულა 364 წელს.

ერმავე წელს მეფობა მიიღო მისმა შვილმა მირდატ III, რომელიც აგრეთვე მუყაითად შეუდგა ქრისტიანობის საქმეს. მის დროს სამწყსოს განაგებდა მთავარ-ეპისკოპოსი Iაკობი და მის შემდეგ Iოსები. მირდატმა მოაქცია კლარჯეთის და ჯავახეთის მცხოვრებნი ქართველნი და მკვიდრად იქ დანერგა ქრისტიანობა. Iმერეთში ააგო მშვენიერი ხონის სობორო, რომელსაც განუწესა ეპისკოპოსი. აგრეთვე სხვა-და-სხვა ადგილას ააშენებინა მრავალი ეკკლესიები. მის მეფობის განმავლობაში (364—379 წ.) საქართველოს ეკკლესია სტკბებოდა მშვიდობიანობითა და წარმატებაში შედიოდა.

მოსე ჯანაშვილი.

ესე არს პირველ და დასაბამ მეფეთა,
კეთილ-მსახურთა, ვინ მოიმადლა ნიჭად,
ქრისტეს სახელის და მის მის შორისებათ,
წინამძღვარ ექმნა, ღვთისა მიმართ ქართველთა,
ხოლო გვირგვინი მიიღო მოციქულთა.

(იხ. წყობილ სიტყვაობა, მუხ. 549, 550 და 551)

მირიან მეფის სახე გამოხატულია იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის კედელზე.

თუშ-ფშავ-ხევსურეთიდამ.

ხევსურების რელიგიური მდგომარეობა და ძველი მათი ჩვეულებანი.

ჯაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა პავლემ მობრძანებისა-თანავე მიაქცია ყურადღება თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეკკლესიებს და სამღვდელო მოსამსახურე პირთა მდგომარეობას. სხვათა შორის დაინახა მან, რომ „ძაეკასიის მართლმადიდებლობის სარწმუნოების აღდგინების საზოგადოებას“ არ აქვს საკმაო ფულები, როგორათაც წინეთ ყოფილა. რადგან დაინახა ასეთი სიღარიბე კომიტეტისა, მაშინვე კეთილ-ინება, რათა ერთი საბლაღოჩინო თუშ-ფშავ-ხევსურეთისა განიყოს ორათ, ესე იგი: ფშავ-ხევსურეთი მიეწეროს Iიანეთის საბლაღოჩინოს და თუშეთის პრიხოდები Iელავის უეზდის სოფლის Iყალთოს ბლაღოჩინის დეკანოზის Iგნატე მრეველოვის საბლაღოჩინოს; ამიტომ დათხოვნილ-იქმნა ბლაღოჩინი Iნაევი, რადგან მას მომეტებული ჯამაგირი ეძლეოდა და ფული კი არ იყო. ამ განკარგულების შემდეგ მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, მოწერილობითა პირველის მარტიდამ 1883 წლისა, უბრძანა ბლაღოჩინს დეკანოზს Iგნატე მრეველოვს, რათა ის თავის დროზე ჩავიდეს და ჩაიბაროს კუთვნილებისა-მებრ ყველა ეკკლესიები ფულებითურთ; თანახმად მოწერილობისა, 9-ს Iელისს 1883 წელსა, ბლაღოჩინი გაემგზავრა თავის საბლაღოჩინოში და მივიდა თუ არა თუშეთში, მაშინვე შეუდგა ყველა ეკკლესიების დაელას და რევიზიას; მან ამასთანავე ისურვა /საეკკლესიო მოსამსახურეთა სახლების დათვალიერება. ყველა ეკკლესიაზე ბლ. მრეველოვი უწოდებდა ეკკლესიის მრევლთა და აძლევდა მათ დარიგებას, რომ მათ ძველი ჩვეულებაები მოსპონ. აქ თითქმის ახლაც ხალხი კერპთ-თაყვანის მცემლობას აღასრულებს. ამათ ეკკლესიის გარდა აქვსთ ცალკე სალოცავები, რომლებიც მათ ნამდვილ სალოცავად მიიჩნიათ. ბევრი ელაპარაკა ბლ. მრეველოვი ხალხს ამ ცუდი ჩვეულებაების მოსპობაზე. აქაურმა მღვდლებმა შეატყობინეს ბლაღ. მრეველოვს ყველა მოქმედებანი და ჩვეულებანი ფშავ-ხევსურეთის „დეკანოზების“ და „ხევის ბერებისა,“ რომლებიც წელიწადში, Iელისის თვეში, ერთჯერ მოვლიან თავიანთ სალოცავებში კერპთ-თაყვანის-მცემლობის აღსასრულებლად და მეტად ატყუებენ და აწუხებენ ხალხს. აი როგორ

იქცევიან ეს „დეკანოზები“: როცა „დეკანოზები“ სოფლებში შედიან, მათ ხელში უჭირავთ საქენის ოდენა ჯოხები, რომლებსაც ზემო თავში შუბი აქვსთ გაკეთებული, ცოტა ქვემოთ ვერცხლის ბურთი, ამის ქვემოთ ზარები ჰკიდია და მასთან ჯოხზე ჩამოკიდებულია სხვა-და-სხვა ფერის ხელსახოცები. ეს შეფერადებული ჯოხი უჭირავს უმცროსს დეკანოზს უ. ს. მამასახლისს ზიორგი ხაზანაურს. ამ უფროსს დეკანოზსა აქვს გულზედ დასხმული სხვა-და-სხვა ჯაჭვები, რომლებზედაც ასხმულია მომცრო ვეცხლის ჯვრები, დახვრეტილი აბაზები, სამშაურიანები, უზალთუნები, ვეცხლის ბურთები, ულენტო მედლები, მათ შუა ჰკიდია დიდი ვეცხლის არხიმანდრიტის ჯვარი, რომელზედაც გამოხატულია მაცხოვარი; მარჯვენა ხელში უპყრია დიდი ვეცხლის ჯვარი ოთხივ გაშლილ ფრთაზედ, შემკული უბრალო ჭიქის ქვებით, ჯვრის ბოლოს ბურთია გაკეთებული. ეს ჯვარი, შეხვეული ხელსახოცით საბუხრის მსგავსად, „დეკანოზს“ მკლავ აღებული უჭირავს. მარცხენა ხელში უჭირავს მას ეპისკოპოსის კვერთხი, რომელსაც თავი მოხრილი აქვს და რომელზედაც მზგავსად ვეცხლის არწივებისა არიან გამოხატულებანი; ამავე ჯოხზედ ჩამოკიდებულია ხელსახოცები. ერთი სიტყვით ამ ჯოხებს ვერ განარჩევს კაცი ეპისკოპოსის ხელ-საჭერ კვერთხისაგან. როცა „დეკანოზები“ ერთ ვერსტზედ მოუახლოვდებიან იმ სოფლებს, სადაც საკერპო სალოცავი არის, მათ მიეგებება ხალხი და მიიღებენ დიდის ამბით. თუ სადილობა არის, „დეკანოზებს“ დაუკლამენ ცხვარსა; ამის სისხლს თავის საკუთარს თეფშზედ დაასხმენ; ჯერ უმფროსი „დეკანოზი“ ყველას შუბლზედ ჰსცხებს და მერე ასხურებს ამ სისხლით ყველას. როცა კარგად გაატარებენ დროსა, მერე წამოვლენ დიდის ზარის წკარა-წკურით, წინ მოუძღვის უმცროსი „დეკანოზი“ ზარის რეკითა და მას უკან მოსდევს უფროსი „დეკანოზი“ ჯოხის ბჯენითა; როცა მოვა საკერპოსთან, აანთებენ სანთლებს და ხელ-აპყრობით თავის ზემო-მოხსენებულის მასალებით დაიწყებს ლოცვას მაღლის ხმით, რომ მთელმა სოფელმა გაიგონოს და მივიდეს. მათი ლოცვა იწყება შემდეგი სიტყვებით: „დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, დიდება მთვარესა, დიდება ვარსკვლავთა“. ამასთან „დეკანოზი“ იტყვის ორიოდე სიტყვას მამაო ჩვენოსაგან, მრწამსისაგან და კანას გალილიასა. ამ ლოცვებში ისინი ურევენ ღვთის სარწმუნოების წინააღმდეგ სიტყვებს. ეს ყვირილი გაგრძელდება ორ საათამდის; მემრე დასხდებიან და იქაც, თუ ცხვარი დაჰკლეს, მისი სისხლით ასხურებენ ყოველთა იქ მყოფთა. ამ დროს „დეკანოზებთან“ მიდიან ყველანი, ვისაც მიცვალებული ჰყავს, ან წყალში დამხრჩვალი, ან კლდიდგან, ან ცხენიდგან გადმოვარდნილნი და მოახსენებენ „დეკანოზს“, რომ მან მიცვალებულის სული უპოვოს მათ, გამოიყვანოს ჯოჯოხეთიდგან და შეიყვანოს სამოთხეში. დეკანოზი მაშინვე გაჰყვება ცხენით მიცვალებულის პატრონს. გზაზე, სადაც დიდი ქვა დახვდება, დეკანოზი დაუძახებს მიცვალებულის პატრონს: „გადააბრუნე ქვა“; როცა ქვას გადააბრუნებს, მერე დაუძახებს: „გაიქეცი, არ მოიხედო, უკან მოგდევს სულიო“. მიცვალებულის პატრონი გარბის და მივა ან სახლში და ან საკერპოში ფრიად დაღლილი და დაქანცული. აქვე მოვა დეკანოზი ცხენით, შემოუვლის საკერპოს, დაიწყებს ბუტბუტს და მერე ცაში დაიწყებს ყურებას გაშტერებით და იძახის: „აგე დაინახეთ, მიცვალებულის სული სამოთხეში შეიყვანეო“; მაშინ „დეკანოზს“ ხელზე აქვს შემობმული ვეცხლის ბადია და ამაში ხალხი ჰყრის შესაწირავს. ამფრად აიღებს შესაწირავს ერთი თუმნიდგან ორ თუმნამდე. ამ დეკანოზებისაგან აქვსთ თუშებს შეგონებული შემდეგი ცუდი და მავნებელი ჩვეულებანი: როცა ქალს შობიარობის დრო მოუვა, მას სოფელს გარეთ გაუკეთებენ კარავს, რომელზედაც გადააფარებენ ფარდაგს და ამ ქოხში დასტოვებენ მშობიარე ქალს მარტო. ამას სჩადიან ზაფხულში და ზამთარშიაც. რასაკვირველია, რომ ამ მშობიარობის დროს ბევრნი ქალნი ჰკვდებიან უზიარებელნი და ზოგი გიჟდებიან. ასევე უშვრებიან ყველას, როცა შეატყობენ სიკვდილს. ავათმყოფს დასდებენ ფარდაგზედ, გაიტანენ გარეთ და, რაც დრო უნდა იყოს, სტოვებენ გარეთ სულის ამოსვლამდე; შეიძლება ზოგი ავათმყოფი კიდეც მორჩებოდა, მაგრამ ამისთანა მოვლით, რასაკვირველია, მალე მოკვდება...

17-ს ივლისს 1883 წელსა საღამოს რვა საათზე დეკანოზი მრევლოვი მივიდა სოფ. ბოჭორმას და დაბინავდა იქაურის მღვდლის ლევან ხვედაგურიძის სახლში. მალე მოისმა ზარის წკარა-წკური და ყველა მიხვდა, რომ „დეკანოზი“ მობრძანდებოდა საკერპო სალოცავში, რომელიც მღვდლის ხვედაგურიძის სახლის მახლობლად იყო. რაოდენიმე თუში მაშინვე მიეგებნენ თავის „დეკანოზს“ და მოაბრძანეს თავიანთ სალოცავში. სალოცავში აანთეს სანთლები და „დეკანოზმა“ თავისებურად დაიწყო ყვირილით ლოცვა: „დიდება მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა და სხვათა“. ბაათავეს ლოცვა თუ არა, შეუდგნენ ვახშ-

მის ჭამას. როგორც „დეკანოზი", აგრეთვე მისი ხლებულნი ძალიან შექეიფდნენ ღვინით, ლუდით და არაყით; ამ ამბავს შორიდგან ყურს უგდებდა ბლაღოჩინი მრეველოვი და სხვანი პირნი, მაგრამ ბლაღოჩინმა ამ ამბავს ყურადღება არ მიაქცია. მეორე დღეს, დილით მამა დეკანოზმა მრეველოვმა მოუწოდა სოფ. ბოჭორმის მცხოვრებთ და მოელაპარაკა მათ ადგილობით ეკკლესიის შეკეთებაზე. აქ მოიყარეს თავი ყველა თუშეთის პრიხოდების მღვდლებმა და მათმა მედავითნეებმა, რომელთაც ბლ. მრეველოვი ელაპარაკა ეკკლესიების შესახებ საქმეებზე. მეორე დღეს, ე. ი. 18-ს ივლისს დეკანოზი მრეველოვი თანა დასწრებით სხვათა სამღვდელო და საერო პირთა მივიდა საკერპო სალოცავთან და აქ მოუწოდა „დეკანოზს" უ. ხაზანაურს, რომელიც, მოვიდა თუ არა საკერპოსთან, მაშინვე შეუდგა ლოცვას თავისებურად. ბლაღ. მრეველოვმა ერთი მედავითნის პირით მოუწოდა უმფროსს „დეკანოზს" ხაზანაურს. ის მაშინვე მოვიდა ბლ. მრეველოვთან. როცა „დეკანოზი" თავის ხლებულებით მოვიდნენ, ბლ. მრეველოვმა დაიწყო ტკბილი სიტყვები ქადაგება. იმან გამოხატა თავის ქადაგებაში ის აზრი, რომ მართლ-მადიდებელი ხალხი აღასრულებენ დღესაც კერპთ-თაყვანისმცემლობას; მათი ლოცვა და საკერპო სალოცავში სიარული წინააღმდეგია მართლ-მადიდებელი დოღმატისა. მერე სთხოვა „დეკანოზს", რომ მან მისცეს მას თვისი ჯვრები და კვერთხი. „დეკანოზმა" დიდის სიამოვნებით აიხსნა გულიდგან ყველა ჯვრები და მიართო ბლ. მრეველოვს და მასთან მოახსენა „დეკანოზმა" ბლაღ. მრეველოვს, რომ მას აქვს კიდევ დიდი თავიანთი ვეცხლის ჯვარი, რომელიც მან მაშინვე მოუტანა ბლ. მრეველოეს სხვა-დასხვა ხელსახოცებში გახვეული. ბლაღოჩინმა მრეველოვმა ჩამოართვა ყველა ეს ნივთები „დეკანოზს" და უთხრა მას: „მე ყველა ამ ნივთებს წარუდგენ მისს მაღალ ეოველად უსამღვდელოესობას იმ პირობით, რომ თქვენ ისევ უკან დაგიბრუნოს ყველა ეს ნივთები. ამასთანავე მოსთხოვა ბლ. მრეველოვმა „დეკანოზს" ხელწერილი, რომ მან შემდეგში აღარ გაბედოს ჯვრების დაკიდება და საკერპო სალოცავში სიარული. ამის შემდეგ ბლ. მრეველოვმა თავის ბინაზე წამოიყვანა „დეკანოზი" ხაზანაური, შეადგინა ჩამორთმეული ნივთების სია და მისცა თავის დიაჩოქს. როცა საღამოზე ერთად ჩაისა სვამდნენ, ბლ. მრეველოვმა ჰკითხა „დეკანოზს" ხაზანაურს, თუ ვინ მისცა მათ ნება საკერპო სალოცავებში სიარულისა. „დეკანოზმა" მიუგო ბლ. მრეველოვს: „ჩვენ ამ ჩვეულების აღსრულების ნება მოგვეცა ჩვენმა უეზდის უმფროსმა თ. ლევან ჯანდიერმა".

ჩოცა ბლ. მ. მრეველოვი დაბრუნდა ქახეთში, მაშინვე ყველა „დეკანოზისაგან" ჩამორთმეული ნივთები რაპორტით გაუგზავნა მისს მაღალ ეოველად უსამღვდელოესობას. ამაზე ბლ. მრეველოვმა მიიღო მოწერილობა, რომლიდამაც სჩანდა, რომ ყველა მისგან წარდგენილი ნივთები არიან მიქცეულნი სიონის სობოროს სალარო-ში ერთ დროზედ. იმავე 1883 წელს, აგვისტოს პირველ რიცხვებში მობრძანდა თიანეთის უეზდის უმფროსი უ. ჯანდიერი თუშეთის სოფლებში. აქ მან შეიტყო, რომ ბლაღ. მრეველოვმა იქაურ „დეკანოზებს" ჩამოართვა ნივთები. ამაზე ის ძლიერ გაწყრა და სთქვა: „ბლაღ. მ. მრეველოვს არა ჰქონდა უფლება, რომ „დეკანოზებისთვის" ნივთები ჩამოერმიაო და სხ." ამის შესახებ უ. ჯანდიერმა მოხსენება გაუგზავნა ექსარხოსს, რომელმაც ამის თაობაზე გამოძიება დანიშნა. ეს გამოძიება დღესაც არ არის გათავებული; თუ კარგად იქმნა საქმე გამოძიებული, იმედია, ჭეშმარიტება აიხსნება. აქ ის არის სამწუხაროა, რომ ადგილობრივი პოლიცია ყურადღებას არ აქცევს და არ ცდილობს, რომ ხალხში კერპთ-თაყვანისმცემლობა მოსპოს.

საისტორიო მასალები.

ეამ უკანასკნელ დროს ევროპიელი სწავლულებიც ჯეროვან ყურადღებას აქცევენ ჩვენ მხარეს. ბევრი მათგანი თურმე ჰკვირობს: უკანასკნელი ველური ხალხიც კი არ დარჩენილა დედამიწაზედ რო. მისი ვინაობა და ვითარება არ გამოკვლეულიყოს და ევროპას და აზიას შუა კი არის ისტორიული ერი — ქართველები, რომელთა ვინაობა, სათავე და მათის ენის წარმორინება ჯერ კიდევ გამოკვანას შეადგენსო... ამ სწავლულებს, ჩვენდა სასირცხვოდ, ჩვენზედ უფრო შეუგნიათ, რომ ჩვენის წარსულის გამოკვლევა ბრწყინვალე სხივს შეაფრქვევს სამეცნიერო მსოფლიოში. მაგრამ ისინი შორს დგანან ჩვენგან და, თუ ათასში ერთხელ რომელიმე მეცნიერი მოგვინახულებს, ჩვენ მათ გზასაც ვერ ვუჩვენებთ, უმს მასალასაც ხელში ვერ ვაძლევთ და ისიც გაკვრით რაღაცას დასწერს და გაუდგება გზას.

ეს, რა თქმა უნდა, წყვდიადს ფარდას ვერ მოაშორებს. არიან ისეთი მწერლებიც, რომელთაც უწერიათ თავისს ეტნოგრაფიულს აღწერაში შემდეგი: „ქართველები იგეთივე ველური ხალხია, როგორც სხვა კავკასიის ხალხები, მწიგნობრები მათში ორი-სამი თუ მოიშოვება, თვით მეფემ წერა-კითხვა არ იცის, ხალხს ლიტერატურა არ აქვს; აქვთ ერთი რაღაც ზღაპართ-კრება („ქართლის ცხოვრება“) ჯ იმითი თავს იქცევენ ზოგნი..“ ამგვარის ცნობებით ჰკვებდენ მაშინდელს ნასწავლ მკითხველ საზოგადოებას, რომელსაც დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული კავკასიის ხალხებზე. ევროპიელი თუ ვინმე მოინდომებდა ჩვენზედ რისამე დაწერას, ისინი ამისთანა ახირებულ ნაწერებს ერწმუნებოდნენ, მათზე ამყარებდნენ თავის შეხედულებას და ძლიერ სტყუვდებოდნენ. როგორც მაგალითად მოქცეულა ლერხენფელდი, და გამოსცემია ერთი უშვერება და სულელობა თავის წიგნში.

ჩასაკვირველია, ყველაზე უფრო სანდოდ და ერთგულად ქართველს ერს გამოიძევს ის, ვინც საქართველოშივე ჰბრუნავს და აკვირდება მის ცხოვრებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ნამდვილს ნიადაგზედ მუშაკებს დღეს ძლივს ორ-სამს კაცს თუ იცნობს ჯერ ჩვენი საზოგადოება, — მეტს არა. ესენი არიან დ. ჩუბინოვი, ალ. საგარელი, დ. ბაქრაძე და ორიოდე სხვა. უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ამ ნიადაგზედვე დგას ბ. დადიანი, რომელიც შესდგომია ამგვარის სამეცნიერო ცნობების განთქმას (პოპულიარიზაციას). მისი განთქმითი ლექციები ალბად იმ მიზანს უნდა ჰსდევნიდეს, რომ აღძრას ცნობისმოყვარება საზოგადოებაში, თორემ ორის და სამის კაცის კალმის ნაწერი ვერას გახდება იქ, საცა აგეთი დაბურვილი ტევრია გასაკაფი. სიხარულით მივეგებებით ყოველს ზემო-დასახელებულთ პირთ ნაღვაწს, რადგან ჯერ მათგან ნაასალიც არ გვღირსებია მისი, რისაც მომლოდენი ვართ. ამასთანავე ამ ძვირფასს კაცებს უნდა მოვაგონოთ ისიც, რომ რაც ამ დროში, ვთქვათ, ათას თუმნად ღირს, ის ცოტას ხანს უკან იქნება ხუთ გროშად აღარ ეღიროს.

ჩათაც და ჩვენ საზოგადოებამაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანდათან მათს რაზმში ჩადგებიან მრავალნი სხვა სწავლულნი და გაუწევენ უსასყიდლო სამსახურს მეცნიერებასაც და მამულსაც. უამათოთ კი ჯერ ჩვენი მოქმედება თითქო უნიადაგოა და „აჭია-ბაჭიასა“ ჰგავს, განსვენებული პ. იოსელიანის თქმის არ იყოს. ისინი დაუმტკიცებენ განათლებულ საზოგადოებას, რომ აზიის ხალხთა მოძრაობათა ტალღები აქ, კავკასიის ქედის ძირად, დახეთქებულან; რომ დიდებულს, ძველს ქართულს ლიტერატურაში იმყოფება ყოველისავე ამის გამოძახილი; რომ თვით ქართულს ენაში და ყოფა-ცხოვრებაში უხვად გაფანტულია ამისი ნაკვალევი, რაც სხვაგან, ევროპაში, უკვე აღგვილა; რომ აქედამ მრავალი მეცნიერების საჭირბოროტო კითხვები გადმოიშლება და განიმარტება და სხ. და სხ. ამიტომაც სიხარულით მივეგებებით იმ ისტორიულ საზოგადოებას, რომელიც დღეს ჩვენში ფუძნდება და რომელიც გაუწმენდს ნიადაგს და შეუმზადებს მასალას მომავალს მეცნიერებას.

ჩველას ვალია, რომ შევუწყოთ ხელი ამ სასიქადულო საქმეს. თუ ისტორიკოსობა, არხეოლოგობა და ლინგვისტობა არ შეგვიძლია, იმას მაინც რა უდგას წინ, რომ რაც ხალხში რამ იპოება ის არ დავკარგოთ. არა მარტო დასაბამ-დასაწყისია ბნელი ჩვენ ისტორიაში; გუშინ რა იყო, ისიც არ ვიცით. ჩვენ იმასაც არ ვეძიებთ თუ გასულ საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნის დამდეგსა რა იყო ჩვენში. არ ვიცით, თუ ახლანდელს ჩვენს მდგომარეობასა და თუნდ ორმოცი-სამოცის წლით ამა წინანდელს მდგომარეობას შორის რა განსხვავებაა. აურაცხელი წვრილი და დიდი სიგელ-გუჯრები, მეფის და ხელის-უფალთ ბარათები და განჩინებანი უქმად ინახებიან ყუთებში და გამომქვეყნებელი და დამმუშაკებელი არავინაა. ასის წლის მოხუცი და მოსწრე კაცები თუ რომ კიდევ მოიპოებიან, ისე გადადიან, რომ კაცი არაა გამომკითხველი იმ ამბებისა და თავ გადასავალთა, რომელთაც ისინი მოსწრებიან. ის სათუო (переходный) დრო ჩვენის ერისა, ამ საუკუნის დასაწყისში რომ იყო, იგეთს წყვდიადშია, თითქო ორი ათასის წლის წინანდელი იყოს.

ესის გამო არც მთლად უმნიშვნელოდ მიგვაჩნია ის ნაკუწ-ნაკუწი ცნობები და ისტორიული მასალები, რომელთაც დრო-და-დრო წარდგენა „მწყემსის“ მკითხველთათვის ჩვენ განვიზრახეთ.

ჩის არ გაგვგონება, თუ როგორ მორბედულად ცხოვრებდენ საქართველოს მეფეები. აქ ჩვენ იმერეთის მეფეებზე მოგახსენებთ, მაგრამ იგივე ითქმის ზედა საქართველოს მეფეებზედაც. იმერეთის დედაქალაქი თუმცა ჭუთაისი იყო, გარნა მეფეები მუდამ იქ არ ცხოვრებდენ. უკანასკნელთ იმერთა მეფეებს ერთი სასახლე ჰქონიათ ჭუთაისს ქვემოდ, იქ, სადაც ახლა ბანაკია (лагерь) და სადაც-აწ სახლობენ ლოსაბერიძეები. ამ ადგილს დღეს „მეფისეულს“ ეძახიან. აქ ახლაც არის ნანგრევი-კოშკი და აჩნია

მეფის ნასასახლეები. ჩრდილოეთ ხეთა ძირს დგას მეფის ტახტი. ტახტს შეადგენდა: გრძელი და პრტყელი თლილი ქვა და მასზედ დაბრძანდებოდა მეფე. მასთან (უკანასკნელს მეფესთან სოლომონ მეორესთან) ჩამწკრივდებოდენ დარბაისელნი: სალთხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო აბაშიძე, მდივანბეგი დავით ჩხეიძე, როსტომ ნიჟარაძე, ჯაფარიძე, ბოლოს დროს მდივანი სოლომონ ლეონიძე და სხ. მოილაპარაკებდენ სამეფო საქმეებზე და აჩენდენ სამართალს. როცა მეფე საზამთროდ თვით ქუთაისს, ოქროს ჩალდაყში გადმოსახლდებოდა, იმ ზემო-ხსენებულის აგარაკიდამ მოსდიოდა მას ხილეულობა, ბოსტნეულობა და მაგისთანები. ზაფხულობით მეფე სულ მორბედულს ცხოვრებას ეწეოდა. ერთს თვეს აქ იყო, მეორეს—იქ, შესაბამად იმისა, თუ როდის სად ჰსჯობდა ცხოვრება, ან როდის სად რა გარემოება მოითხოვდა მეფის დასწრებას. იმ სოფელს, სადაც მეფე საზაფხულოდ მიდიოდა დროს გასატარებლად, დარქმეია „სალხინო". ღღესაც ეგ სახელი რამდენსამე სოფელს ჰქვია იმერეთში და ოდიშში. ის ადგილი, საცა მეფეს გავლით უცხოვრია, „მეფის ნასადგომევად" იწოდება ღღესაც. ამისთანა სოფლები მართლაც სასიამოვნო საცხოვრებელია ზაფხულში: აგარი ადგილი, ახლო მდინარე რამ, ანუ წყარო („მეფის წყარო" ბევრს წყაროს ჰქვია იმერეთში ღღესაც), სათევზაო და სანადირო ალაგები და სხვა ამგვარებით შემკული. მეფის და მისის ამალის მასპინძლობა საყოველთაოდ იყო განწესებული იმ სამოურაოში, რომელსაც მეფე ეწვეოდა, როგორც სჩანს სხვათა შორის შემდეგის მეფის ბარათიდამ.

„ჰეფეგ იმერთა სოლომონ კეთილად მოგიკითხავ სვიმონეთის მოურავებო: კლდიაშვილო დათიკა, ანდრია ჯ ხხვანო მოხელენო. როცა ჩვენ მანდ ქვეყანაშიდ მოვალთ, გავიგლით თუ გამოვიგლით, აგრეგე ჩვენი კარის კაცები, ან ჩვენი ხტუმარი გავიგლის-გამოიგლის მაგ ქვეყანაშიდ,—ისრე მოგვხსენდა—გაენათლის კაცები სულამანიქეები, ლიკლიკაძეები ჯ დგინეფაძეები გვემსახურება დგინით, ბურით ჯ ხორცით, თორემ ხხვები უფრო თავის-უფლად არიანო. რადგან ეგ სვიმონეთი ხრულებით ხახულისა ივთის-მშობლის, გაენათის ეკლესიის არის,—მათის ეოვლადუსამღვდელოესობის გაენათელ მიტროპოლიტის ეფთვიმის ნებადართვით ჯ მოწმობით ჩვენც ასრე განგვიწესებია: ჩვენ მოვიდეთ მაგ ქვეყანაშიდ, თუ ჩვენი კარისკაცი, ან ჩვენი ხტუმარი,—რაც დაისარჯოს: ბური, დგინო, ხასორცე, ან ხორცის ფასი—მოკრიფონ სულ ერთობით სვიმონეთელებმა, შედგენ ჯ ისრე გვემსახურონ, თორემ დიდად ვიწყენთ. არც თქვენ შეგაწუვთ ჯ არც სოფელს, იცოდეთ. ნოემბრის კდ-ს. (ბეჭედი ამბობს): მეფე იმერთა სოლომონ."

ჩოცა მეფე რომელსამე თვეში ცხოვრებდა, მაშინ ყოველს კერძო პირს შეეძლო მისი მიწვევა და გამასპინძლება, გლეხსაც კი, თუ ზურგი გაუძლებდა. იმ თავადს, ან იმ აზნაურს, რომელსაც ეს გლეხი ჰყმობდა, ეს საქმე დიდად ექებებოდა.

ჩუ ვისმე რამე საჩივარი ჰქონდა, ან სათემო რამ სადაო საქმე იყო გასარჩევი, მეფის იქ ყოფნის დროს კაი შემთხვევა ეძლეოდა. ამ გვარად მეფესა და ქვეშევრდომს შუა ზღუდე არ ყოფილა ამართული. უკანასკნელ გლეხსაც კი შეეძლო პირად მოეხსენებინა მეფისთვის თავისი გაჭირვება. მეფემ თვითეული პროვინციის საჭიროება ადგილობრივ იცოდა და შეძლებისა-მებრ აკმაყოფილებდა. შეიძლება, რომ სამართალი ყოველთვის მართლიადი არ იყო, მაგრამ სწრაფი კი ყოველთვის...

ზემოთ ნათქვამ სოფლებს ეკუთენოდა სოფელი „რიონი" და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლები. ამ სოფელზე საჭიროა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. სოფელი რიონი ძევს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზედ, ქუთაისს ზემოთ რვა ვერსტის მანძილზე, მას აკრავს სოფ. ზარათი და მამაწმინდა. მათ გამოღმაა ოფურჩხეთი და ბუმათი. ეს სოფლები თუმცა „ქართლის ცხოვრებისგანაც" ნაქებია ატმითა და ბალითა, (რიონული, ანუ ქეზევაძის ატამი და ოფურჩხეთული ბალი) მაგრამ აქ სოლომონ მეფეს ატამი და ბალი როდი იბირებდა, არამედ სხვა გარემოება.

ეს სოფლები იყო საუკეთესო სახიზარი მეფისა შიშიანობის დროს. არც ერთი ადგილი არ ემხრობოდა ქუთაისს აგეთი საიმედო თავ-შესაფარი და მტერთაგან ძნელად მისაგნები და მისადგომელი. ამასთანავე მეფეს აქ ეგულებოდა მისნი უერთგულესნი მოყმენი ე. წ. „ფიცის კაცები", რომელთ ჩამომავალნი დღესაც სახლობენ რიონის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე. როცა ქუთაისში მტერთა შემოსევის შიში იყო, მეფე და ქუთათელი მიტროპოლიტი აქ დახიზნავდენ ხოლმე თავიანთ ძვირფას ნივთებს და საეკკლესიო სამკაულ-საუნჯეს „მამაწმიდის" მღვიმეში, სანამ შიშიანობა გადაკვეთდა. ასე ყოფილა მაგალითად მაშინ, როცა ქუთაისს ოსმალონი შემოესივნენ (სოლომონ პირველის დროს) და როცა აოხრდა დიდი ქუთაისის სობორო და მთავარ-ანგელოზის ეკკლესია.

ესმ პირთაგან, რომლებზედაც უფრო ყოფილან მიტროპოლიტი და თვითონ მეფე (უფრო სოლომონ მეორე), ცნობილნი არიან ხალხში შემდეგნი: დეკანოზი იოანნე ძოწენიძე, განდეგილი დანიელ მღვდელმონაზონი, იესე წინამძღვარი ბელათის მონასტრისა და მოურავი ბერი მესხი. თვითო ორ-ორი სიტყვა თვითოეულს ამათგანზედუნდა მოგახსენოთ, რადგან ისინი შესანიშნავნი არიან.

X—X.

ბაიოზ ნაცვლიშვილი, პირველი რექტორი თელავის სემინარიისა.

ბაიოზი, რექტორი თელავის სემინარიისა, იყო შესანიშნავი მღვდელ-მთავარი, რომელიც სცხოვრებდა მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, (1746—1819 წ.) ის დაიბადა სიღნაღის მაზრაში ს. მაღაროში. სწავლა ბაიოზმა მიიღო საქართველოში ანტონ ქათალიკოზისაგან. 1765 წ. ანტონმა ბაიოზი მთავარ-დიაკვნად აკურთხა; ამ დროიდგან ვიდრე 1772 წლამდის ის განუშორებლად სცხოვრებდა ანტონთან. 1772 წ., როდესაც ანტონ ქათალიკოზი ირაკლი მეორისაგან გაგზავნილ-იქმნა რუსეთში, თან წაიყვანა ბაიოზიც. 1774 წ. ანტონი დაბრუნდა საქართველოში, ბაიოზი კი მოსკოვში დარჩა, რადგანაც სასულიერო აკადემიაში შესვლა უნდოდა. მოსკოვიდან ბაიოზმა თხოვნა გაგზავნა ბაწმ. ხინოდში, რომ მას ნება მისცემოდა აკადემიაში შესვლისა. ბაწმ. ხინოდმა განიხილა მისი თხოვნა და ნება დაჭრთო. კურსის შესრულების შემდეგ, ბაიოზი ჩქარა დაბრუნდა საქართველოში, სადაც იმან ჩქარა მიიღო არხიმანდრიტობა თვით ქათალიკოზ ანტონი დიდისაგან.

1782 წ. ბაიოზი დაინიშნა ახლად დაარსებულ თელავის სასულიერო სემინარიის რექტორად; მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა ამ თანამდებობაში. (ორი წელიწადი იყო მხოლოდ რექტორად).

1793 წ. ბაიოზი ეკურთხა ეპისკოპოზად და დაინიშნა ახლად დაარსებულს მოზდოკის კათედრაზედ. როდესაც ბაიოზი თავის ეპარხიაში მოვიდა, მას დახვდა ის არა სანატრელ მდგომარეობაში: მისი სამწყსო როგორც განათლებით, ისე ზნეობით ძრიელ დაბალ წერტილზე იდგა. მღვდელ-მთავარმა ბაიოზმა დიდი ყურადღება მიაქცია თავის ეპარხიას: მან დააარსა სასწავლებლები, აღაშენა ეკლესიები და აღამაღლა ხალხი ზნეობით.

1799 წ. ბაიოზი გადაყვანილ-იქმნა სარატოვის კათედრაზედ, მერე ის დაინიშნა ასტრახანის არხიეპისკოპოსად, სადაც დჰყო 1819 წლამდის. ამ შესანიშნავმა კაცმა, თუმცა მომეტებულნი წელნი თავის სიცოცხლისა საქართველოს გარეთ გაატარა, მაგრამ საქართველო მას არ დაჰვიწყებია; ის ძრიელ ზრუნავდა საქართველოსათვის და ძრიელაც უყვარდა; მამულისადმი გრძნობას ერთ ალაგას თავის ნაწერებში, აი როგორ გამოჰხატავს: „არა არს-რა ესრედ ტკბილი, ვით მამულის სიყვარული". არამცთუ სიტყვით, საქმითაც გვიჩვენა ბაიოზმა მამულისადმი სიყვარული: ამას ამტკიცებენ იმისი მრავალნი თხზულებანი, როგორც საკუთარნი, ისე ნათარგმნიც *).

საკუთარნი თხზულებანი მისნი არიან:

1. მოკლე ქართული გრამატიკა.
2. საქართველოს ისტორია.
3. წინა-სიტყვაობა ქათალიკოზ ანტონი დიდის „წყობილ სიტყვაობისა".

ნათარგმნი:

4. „მიმოსვლა" ბარონ-დე-პოლტინისა.
5. წმიდისა მამისა ჩვენისა ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისა მიცვალებულისათვის ძმისა მისისა სატირისა, ორი წიგნი.
6. წმ. მამისა ჩვენისა ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსისა სიტყვა მიცვალებასა ზედა თეოდოსი დიდისა.
7. სამღვდელო ისტორია.
8. სამღვდელო რეღლამენტი.
9. პეტრე დიდის ისტორია შობიდგან სიკვდილამდე.
10. მგვიპტის ისტორია, დიოდორისა.
11. ძვიროსის ისტორია, სპარსეთის მეფისა.
12. ძველთა სამეფოთა ისტორია.
13. სამხედრო არტიკული პეტრე დიდისა.
14. მეროპიულ ქალაქთა ლექსიკონი.
15. სამგზავრო გეოგრაფია.
16. ევთის-მეტყველება, მიტროპოლ. პლატონისა.
17. მარკ-ავრილია.
18. ფელიზარი.
20. ქიტაიის სიბრძნე.

*) იხ. „ეეერია" № 8, 9 და 10 1881 წ. სტ. ნ. მთავარელიშვილისა.

21. ბანმარტება იგავთა სოლომონისათა.
22. ვასილი დიდის ეპისტოლენი.
23. სარწმუნოების კითხვა მიგება.
24. ბონების ჰაზრი.
25. ურმათ სასწავლო ჰაზრი.

ᲐᲦᲕᲓᲔᲚ-მთავარი ᲑᲐᲘᲝᲖᲘ, იყო აგრეთვე გამოჩენილი მქადაგებელი.

ალ. გულისაშვილი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

ᲩᲕᲔᲜ წაიკითხეთ „მწყემსის“ მე 7 №-ში თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის სურვილი შესახებ „ძმობის“ საშუალების გავრცელებისა. „ძმობა“ ყოფილა დაარსებული თფილისის სემინარიაში მოსწავლე ღარიბ შეგირდთა დასახმარებლათ 1880 წლიდგან. სამწუხაროა ჭეშმარიტად, რომ არც ამისთანა „ძმობის“ დაარსების წესდებას და არც სხვა რამე ანგარიშს ვერ ტყობილობს ხშირად სამღვდელოება. ᲐᲠᲪ იცის მან, თუ რა მდგომარეობაშია მათი შვილები სემინარიაში სწავლის დროს. ᲐᲠᲐ მჯერა, რომ ვისაც კი შეძლება ნებას აძლევს, არა თანაუგრძნოს ამ „ძმობის“ მშვენიერს მიზანს და არ შესწიროს შეძლების დაგვარათ რამოდენიმე მანეთი. ᲠᲝᲛ ეს ჩემი სიტყვები, მარტო ცარიელ სიტყვებათ არ დარჩეს, ვგზავნი თქვენს რედაქციაში ამ წერილთანვე (100 მანეთს) ასს მანეთს და გთხოვთ გაგზავნოთ სადაც ჯერ არს. *)

კვალითის წმ. ბარბარეს ეკკლესიის მღვდელი
იესე ხუსკივაძე.

*) ასი მანეთი ამ წერილთან მიღებული და სხვა კიდევ ერთი თუმანი, გაეგზავნა თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს, მამა დეკანოზ პავლე ჩუდეცკის.

ჩვენ წინეთ ვსთქვით, რომ ჩვენ სამღვდელოებას ჰქონდეს კარგად გაგებული მიზანი და დანიშნულება „ძმობისა“, არ შეიძლება მონაწილეობა არ მიიღონთქო. მაგრამ რით შეიტყობენ ამას საქართველოს მღვდლები? ერთი ეგზემპლიარი „ძმობის“ წესდებისა არც ანგარიშისა არ არის დაბეჭდილი გაზეთში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სხვაც მრავალნი აღმოჩნდებიან, რომელნიც მიბაძვენ პატივცემულ მღვდლის ხუსკივაძის ყოვლად საქებურ საქციელს.

რედაქტორი.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ᲩᲕᲔᲜ გვატყობინებენ თფილისიდამ, რომ თფილისში იბეჭდება და მცირეს ხანში გამოვა „საქართველოს მოკლე ისტორია“, შედგენილი ბ. მოსე ჯანაშვილისგან. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა წიგნების გამოცემა ძლიერ სასიამოვნო არის ყველა ქართველთათვის.

***

ᲨᲘᲓᲐᲛᲕᲔ გვატყობინებენ, რომ ამავე პირისაგან „საქართველოს გეოგრაფიის“ გამოცემა რომელიმე მიზეზთა გამო გადიდვა განუსაზღვრელ დროამდისო.

***

ᲩᲕᲔᲜ გვატყობინებენ ს. ბოსლევიდამ (შორაპნის მაზრაშია), რომ იქ აპრილის 24 რიცხვსა გაუქურდავსთ ბოსლევის ნათლის-მცემლის ეკკლესია და გაუტანიათ უბრალო ნივთები სულ ოცი მანეთის საღირალი. ᲫᲣᲠᲓᲘᲪ დაუჭერიათ, რომელიც, როგორც ამბობენ, ცოტა ჭკუაზე შეშლილიაო.

***

ᲩᲝᲒᲝᲠᲪ გვატყობინებენ ზემო იმერეთიდამ ორ მაისს მოსულ თოვლს ბევრი ზიანი მიუცია ხილისა და ვენახისათვის. ნამეტან სწუხრან ფუთკრის გაქროობას. ᲤᲣᲗᲙᲠᲔᲑᲘ ზოგ ადგილას სრულებით დახოცილან სკებში რადგან ამ დროს ყრის დრო იყოვო. ᲫᲠᲘᲔᲚ ზიანი მიუცია აბრეშუმის ჭიებისათვისაც.

***

ᲩᲕᲔᲜ მივიღეთ ხუთ-ხუთი მანეთი მღვდელთ ᲖᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ ᲮᲣᲡᲙᲘᲕᲐᲫᲘᲡᲐ და ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲑᲔᲠᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ გასაგზავნელად თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორთან, მისაქცეველად სემენარიის გაჭირვებულ ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი „ძმობის“ სასარგებლოდ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ეს პატივცემულნი მამანი აცხადებენ, რომ მზათ არიან ყოველ წელს სწირონ ხუთ-ხუთი მანეთი საწევრო ფული. ᲤᲣᲚᲔᲑᲘ მიქცეულია დანიშნულებისამებრ.

***

ᲩᲝᲒᲝᲠᲪ ისმის, ამიერიდგან ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში ძველ ენებში ლათინურ ენას ასწავლიან და თფილისის გუბერნიის ოთხ-კლასიან სასწავლებლებში კი—ბერძნულ ენას.

***

Ქალაქოჩინი მღვდელი მამა ა. შარაბიძე ჩვენ გვწერს შემდეგ წერილს: ,,ამ აპრილის თვეში მე მივიღე ორასი ეკზემპლიარი ქადაგების პატარა წიგნები ქართულს ენაზედ, ნათარგმნი ბ. სოლომონ Ciციანოვისაგან; მაგრამ არ ვიცით საიდამ, ვისგან და რისთვის არის ისინი გამოგზავნილი ჩემთან. ამისათვის გთხოვთ ბ. რედაქტორო ეს წერილი დამიბეჭდოთ თქვენს პატივცამულ ,,მწყემსში''. იქნება შეიჭყოს და მომწეროს რამე, და თუ დაბეჭდვის შემდეგ ერთის თვის განმავალობაში პასუხი ვერ მივიღე მისგან, მაშინ ამ წიგნებს უფასოდ დაურიგებ სამღვდელოებას და საეროსაც, ვინაც წაკითხვა იცის''.

ჯეშმარიტების აღდგინებისა გამო.

Ქ. მჭედლიძის მეორე მოკვანილ ფაქტზე ხიტყვას დავბეჭდით მკითხველებს შემდეგისთვის. ვსრულებთ ამ დაბეჭდებას. ჩვენ მოვიყვანთ სრულებით იმ ფაქტს აქვე ჯ ვსთხოვთ, როგორც ,,დროების'' რედაქციას, ისე მის კორესპონდენტებს ჩვენი დაწერილიც მათზე გადბეჭდონ ხოლმე შეუცვლელად, თუ ხიმართლეზე არიან დაფუძნებული. აი ის ფაქტი:

,,Ქინც დაახლოვებით იცობს ქართველი ხალხის და მის მწყემსთა ზნეობითს და გონებითს მდგომარეობას, ვინც ყურადღებით ადევნებს თვალს საერო მწერლობას (печать), რომელიც სხვათა შორის ავრცელებს სრულიად უკუღმართს (превратный) ცნობას ეკლესიაზედ და მის მსახურებზედ, ვინც გულ-დასმით ადევნებს თვალ-ყურს ღვარძლის უხვს აღმოცენებას ქრისტეს ყანაში, როდესაც სრულიად არ არის წინააღმდეგობა კეთილის თესლის-მთესველების მხრით, იგი, ეჭვი არ არის, გულ-გრილად ვერ დაუწყებს ყურებას ყოველ ამას. იყო დრო, როდესაც ქართველი ხალხი, სამღვდელოებასთან ერთად, ებრძოდა ქრისტეს სარწმუნოების საშინელს მტრებს. თითქმის არ მოიპოვება იმისთანა ნაგლეჯი მიწა საქართველოში, რომელიც არ იყოს მორწყული ქრისტიანების სისხლით, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოება ამისთანა დევნულებაშიაც დაშთა უვნებელი ამგვარის საშინელის გარეგანის მტრებისაგან, მაგრამ ეხლა სურათი შეიცვალა: გამოჩნდნენ შინაური მტრები, რომელთაც ხელში კალამი უჭირავთ. აი ეს მტრები ყველაზედ უფრო საშიშნი არიან და მოქმედებენ უმეტესად, ვიდრე მოქმედებდნენ თითრები და სპარსები მახვილითა (ятаганомъ) და ცეცხლით. მიეცეს თავისუფლება მთესველებს სთესონ უკეთური თესლი ქრისტეს ეკლესიის ყანაში, ჩემის ფიქრით, შეადგენს ძმიმე ცოდვას ყველა ჭეშმარიტ მორწმუნე ქრისტიანეთათვის, რომელსაც კი შეუძლია წინააღმდეგობა გამოუჩინოს მათ. საქართველოში გამოიცემის რაოდენიმე გაზეთი და ჟურნალი, რომლებშიაც მართლმადიდებელი ერი ვერ ჭეშეებს სულიერ საზრდოს, ხშირად ამ გაზეთებსა და ჟურნალებში იგი კითხულობს არა სასიამოვნოსა და სამწუხარო მსჯელობას მისს მწყემსებს და ეკლესიის მსახურთა შესახებ და სხ. და სხ...'' ,,დროება'' № 85.

ბ. ე. მჭედლიძეს, როგორც ძლიერ დასელოვნებულ კანცელიარიის ,,ჩინოვნიკს'' ბევრის ძებნის შემდეგ, უნახავს ერთი რაღაცა ქადაგი ჯ ისწრაფვის მის ხაქვეყნოდ გამოცხადებას. იმის აზრით, ვითომც მან ნახა ,,მწყემსის'' პროგრამა ჯ ამით დაამტკიცა ,,მწყემსის'' მავნე მიმართულება!.. აი ამ ხაბუთის ძალით ამტკიცებდა ბ. ე. მჭედლიძე, რომ ,,მწყემსი'' არსებობდა ვითომც მისთვის, რომ ,,დროების'' ჯ ,,პრომის'' გაზეთების მავნე აზრები სდევნოსო; როდესაც ,,მწყემსის'' რედაქტორმა პასუხი გასცა ე. მჭედლიძეს ჯ ითხოვა პასუხის დაბეჭდვა ,,პრომის'' რედაქციამ, რომლის ერთ წევრს თურმე ბ. ე. მჭედლიძეც შეადგენდა, არა კეთილ-ინება რედაქციამ პასუხის დაბეჭდვა ჯ მოპასუხეს ისევ უკან დაუბრუნა თვისი პასუხი... ბოლოს ,,დროებაში'' ძლივს მისცეს ნება ამ პასუხის დაბეჭდვისა, რომლიდამაც ყველა კარგათ გაიგებდა ე. მჭედლიძის უსაფუძვლო ლაპარაკს ჯ კაბანს...

Ჩინეთაც გამოგვითქვამს ჩვენ ჯ ესლაც ვიმეორებთ კიდევ, რომ ჟურნალ-გაზეთის მიმართულება დაინახება მისი პროგრამისაგან. ,,მწყემსის'' პროგრამა გამოცხადდა ხაქვეყნოდ ჯ ყველა ,,დროების'' მკითხველებმაც წაიკითხეს. სად ,,მწყემსის'' პროგრამა ჯ სად ეს მჭედლიძისაგან ამოგლეჯილი ხიტყვები?.. რის დასამტკიცებელად მოიყვანა ე. მჭედლიძემ ეს მისგან ამოგლეჯილი ხიტყვები, ჩვენ ვერ გავიგეთ. აი სწორეთ ამ ხაბუთზე ითუძნებდა ყველა თავის უსაფუძვლო ხიტყვებს ბ. მჭედლიძე ხვა-ჯ-ხვა ,,ელებ.ს'' ამოთვრებით.

Ჩვენ ე. მჭედლიძეს უთხარით ჯ კიდევ ვეტყვით, რომ მას რაკა ესმის, მაგრამ არ იცის სად ჯ რისთვის რაკენ...

Ჩვენ პროგრამაში თუმცა სრულებით არ არის ხსენება იმ ხიტყვებისა, რომელიც ე. მჭედლიძეს მოჰყავს ასე ამაყობით, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ, როდესაც თქმა არის ხაერო ბეჭდითი ხიტყვაზე სრულებით არ იგულისხმება აქ მარტო ,,დროება'' ჯ ,,პრომა;'' როდესაც ამბობენ: ,,აღმოჩნდნენ ზოგიერთი უსუსური მჯღაბნელები, რომელნიც ავრცელებენ ძრუდე აზრს ხამღვდელო ჯ საეკლესიო მოსამსახურეებზეო,'' სრულებით არ იგულისხმება აქ ის პატივ-ცემულნი მწერალნი, რომელნიც ხასარგებლოდ მამულისა შრომობენ ჯ იღვწიან... რომ ხოქვას ვინმემ: ,,ქართული ჟურნალ-გაზეთები ხასულიერო წოდებას ჯ მართლ-მადიდებელ ხალხს სულიერ საზრდოს (духовной пищи) ვერ აძლევსო,'' აქ წინააღმ-

დეგობა სრულებით არაფერია. ე. მწყდლიძეს ვერ დავჯერებთ, რომ მის დანატოსრებულ სტატიებში სამღვდელოებამ ან მართლ-მადიდებელმა ხალხმა სულიერი საზრდო ვერ მოიპოვოს! ერთ დროს ე. მ—ძე სწერდა: „ამ სწავლა მოძღვრებს, რომელსაც დედა-მიწა ადამიანის დროებითი საცხოვრებლად მიუჩინია ან როჭელმასც (ადამიანმა) ქვეყნიური ცხოვრებით მეორე ქვეყნის სახუფეველი უნდა მოიპოვოს, დრო წაუვიდა.“ სომ გესმომეთ ბ. ე. მ—ძე ეს ნაწერი? სომ ამისთანა ნაწერები შეადგენს მართლ-მადიდებელ სალხთათვის სულიერ საზრდოს! ან რამდენი ამსანაგები გუყვნთ თქვენ, რომელთაც არ გაგიგეთ, რასა სწერთ სახულიერო წოდებაზე!

„Ყრომის“ გაზეთს სომ კარგად დაეტყო, ბ. ე. მ—ძე, თქვენგან მიცემული სულიერი საზრდოს პოხიერება, რომლითაც თქვენ ისე უხვად ჭკვებავდით მის მკითხველებს! რამდენ ზემოხსენებულ ხეპრულ ეზრის მხეკავს მხეკლობას მოვნახავდით თქვენს ნაწერებში, მაგრამ ვის აქვს მოცალება, რომ ამაებზე დრო დაჭკარგოს!.. თქვენი თვისების ან პატიოსნების დასამტკიცებლათ ჩვენ საკმაოდ მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ თქვენს ნაწერებს, რომელნიც სავსე არიან შეუფერებელი სიტყვებით. ყველაზე საკვირველი ის არის ეხლანდელ დროში, რომ მთვრალობას აძაგებს ზოგიერთი კაცი, რომელიც ყველაზე მეტს მთვრალობს; ზიზღით მოიხსენებს ბეზღობას ის, რომლის ნაწერები „ბეზღობისა“ ან „დანახვების“ მეტი არაფერია! იწუნებენ ან აძაგებენ ყალ-მაყალს იმისთანები, რომელნიც დიდი სარებით აღჭურვილნი ომობენ მოყვასთა შორის! ჩვენ მხოლოდ გვრჩება მარტო ვიმწუხროთ ყველა ამისთანა მწერლებზე ან Ეფერთსა ვსთხოვოთ, რომ აღუნიდოს მათ ბრძანნი თვალნი, რათა იგინი მოიქცნენ გზად ჭეშმარიტებისად.

Ბასსრულ ბ. ე. მწყდლიძეს ან მის სხვა-ან-სხვა „ედებს“ ვსთხოვთ, რომ წერის დროს ბაზრულ ან კინტურ სიტყვებს არიდონ. ბალაღჩის ღაბაშაიესთან რომ მას რაიმე პიროვნული ანგარიში ჭქონდეს, აქ „მწყემსი“ არაფერ შუაშია. მას ან სხვასაც სრული უფლება აქვსთ, რაც სურსთ ის სწერონ; მაგრამ უშვერ სიტყვებს ან ტიალის-წამებას თავი დანებონ; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქმნებით, ვიხმაროთ ის საშუალება, რომლითაც უშვერი სიტყვების მოდაბარაკეთა ან ტიალის-მწამებელთა ჯაჭვს ასწავლიან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოგრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

მოკლე სიტყვა,

Ქმული ს. კავთისხევში დასაფლავების დროს თეოილისის სიონის დეკანოზის იოანნე შატბეროვისა, ბლ. მღ. დ. ბარნაბოვის მიერ 15 მარტსა 1880 წელსა.

Ქანსვენებულო, დეკანოზო Იოანნე! დღეს უკანასკნელად შეეიკრიბენით ჩვენ, სახლსა ამას შენსა, რათა მოგცეთ შენ უკანასკნელი ჩვენი ვალი, ე. ი. აღსასრულებლად სიტყვისა Ეთისა: „მიწა ხარ და მიწად იქეც“, რომ მივაბაროთ პატიოსანი გვამი შენი მიწასა. ჩვენ არა ესტირით და არცა ეწუხვართ უნუგეშოთა: ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სიკვდილი, რომელიც საზარელი და საშიშარია ყველასათვისა, არ იყო საზარელი და საშიშარი შენთვისა; სამარე ცივი და კუბო ეგე შავი და ბნელი არ შეგაკრთობენ შენა!.. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიკვდილით შენ განაპე აღძრული ზღვა ცხოვრებისა და მიაღწიე ჭეშმარიტსა ზეციერსა სამშობლოსა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ამაში, იმიტომ რომ „ღვაწლითა კეთილითა შენ იღწოდი და სარწმუნოება დაიცევ“. Ცხოვრებამან შენმან არ განელო ფუჭად, არამედ იყო სათნო Ეთისათვის და სასიამოვნო კაცთათვის. Იდუმალნი ღვაწლნი შენნი დღეიდგან განცხადდებიან; ხოლო ხილულნი ცხად არიან ყველასათვის. ბიცნობენ შენ კეთილ მწყემსად მოღვაწეთ სამწყემსო მოქმედების ასპარეზსა ზედა; გიცნეს შენ, რომ იყავ უბოროტო, მშვიდი და კაცის შემწყნარებელი; კეთილი ნახეს შენში და არა ბოროტი. Თვით ბოლო ცხოვრებისა შენისა მშვიდი, უკანასკნელი სიტყვანნი შენნი სავსენი კეთილ მოწიწების ღრმა ფიქრითა, — სავსენი სრული სასოებითა Ქრისტესადმი, — გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ შენ ეკუთვნი ჭეშმარიტთა Ქრისტეს მწყემსთა. Მშვიდობა მტვერსა შენსა, ღირსო მამაო Იოანნე დეკანოზო! Ოფალმან განუსვენოს სულსა შენსა წმიდათა შორის თვისთა, რამეთუ შენ იყავ ერთგული მონა მისი და მწყემსი შემდგომ-ნთა მისდამი და იყვეს საუკუნოდ ხსენება შენი. Ამინ.

მართლ-მადიდებელის ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის ზოგიერთი კითხვების აღხსნა და განმარტება.

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი კითხვების ახსნას და განმარტებას. *)

შეუძლია თუ არა მართლ-მადიდებელ მღვდელს სოფლის მიცვალებულს წინ გაუძღვეს ‌ᲓᲐ ყველა მართლ-მადიდებელთა წესი აღუსრულოს?

ᲔᲛ კითხვის შესახებ კანონთა კრებაში, 1857 წ. გამოცემულში, ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ დადგენილობას: „თუ ვინმე სხვა აღსარების პირთა: ფრანგთა, ლოთრანგთა ანუ რომელიმე რეფორმატორის აღმსარებელთა სურდეს დამარხვა მართლ-მადიდებელის მღვდელისაგან, თუ მისი აღსარების მღვდელი არ იშოვებოდეს, ამ შემთხვევაში, რადგან ისინი იᲒურობენ სახარების სწავლას ‌ᲓᲐ სახოება აქვთ Შაცხოვარზე, ხოფლის მსხნელზე, ამახთან მონდობილნი არიან ჩვენ მართლ-მადიდებელ მამულის მეფარველობაზე, მღვდლები ვალდებულნი არიან გვამნი ამისთანა გარდაცვალებულთა გაცილონ სახლიდამ სოფლავამდისინ ოლარით ‌ᲓᲐ ფილონით შემოხვილთა ‌ᲓᲐ შთაუშვან სოფლავში „წმიდაო Რმერთო“-ს გალობითი (კანონთა კრება, გამ. 1857 წ. მეცამეტე ტომისა. საქ. წესდ. სტატია 922).

ᲔᲛ დადგენილობაში სრულებით არ არის მოხსენებული სხვა რაიმე მღვდელ მოქმედების აღსრულება მართლ-მადიდებელთ მღვდელთაგან, როდესაც ისინი იქმნებიან მიწვეულნი სხვა აღსარების გარდაცვალებულთა პირთა დამარხვაზე. მაშა სადამე არც ხომლის აღსარების პირზე შეიძლება მართლ-მადიდებელმა მღვდელმა შეასრულოს ჩვენი წესი.

*) თუმცა დრო-და-დრო ჩვენ ვბეჭდავთ ხოლმე ზოგიერთი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის კითხვების ახსნას და განმარტებას, მაგრამ თვითონ სამღვდელოები მოიქცნენ რამდენიმე კითხვით, რომელთაც ჩვენ კერძო წერილით ვაძლევდით პასუხს. ამის შემდეგ ყველა ამისთანა კითხვები, მომართულნი ჩვენდამო, იქმნებიან მოქცეულნი მეოთხე ჩვენი გამოცემის განყოფილებაში და ჯეროვანი პასუხი გაეცემა ყველა ამისთანა კითხვებს. ერთის მხრით ეს სასარგებლოდ მეგვაჩნია, რადგან ყოველთვის არ შეგვიძლია ჩვენ გავიგოთ, რომელი კითხვის აღხსნას და განმარტებას საჭიროებს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირი.

რედაქტორი.

ᲐᲮᲒᲠᲐᲛ, ხამწუხაროდ, ამ კანონს ხშირად არღვევენ ზოგიერთ ადგილას ‌ᲓᲐ იხდიან პანაშვიდებს სხვა აღსარების გარდაცვალებულთა პირთა ზედა!.. იმედია, ამის შემდეგ აღარავინ შეაწუხებს სახელიერო პირთა ამისთანა უკანონო თხოვნით ‌ᲓᲐ არ მოითხოვენ მათგან უკანონო მოქმედების აღსრულებას, რომელიც ხშირად ხვდება ჩვენში მღვდლებს, განსაკუთრებით რკინის გზის გაკეთების შემდეგ, რომელ გზაზედაც მსახურებს ეოველ გვარი ხარწმუნოების პირნი.

როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, როდესაც მისი სამრევლოო ჩჩვილის წესის აღსრულებას თხოვიდობენ მისგან, მაგრამ მღვდელმა არ იცის მონათლულია ბავშვი თუ არა, თუმცა დედ-მამა არწმუნებს მღვდელს სიტყვით, რომ ბავშვი მონათლულია გიდაცა მღვდლისაგან, რომელსაც ისინიც ვერ იცნობენ?

ᲩᲝᲓᲔᲡᲐᲪ მრევლის მღვდელი რომელიმე მიზეზთა გამო შინ არ იმეოფება, რა მღვდელ-მოქმედებაც უნდა შესრულდეს. იმის ხამრევლოში არა მეოფობის დროს, მ-გალითებრ: მონათვლა, ქორწინება ‌ᲓᲐ დამარხვა სხვა მღვდლისაგან, უთუოდ უნდა იქმნეს დაწერილი იმავე ხამრევლოს ეკკლესიის საბუთებში მღვდელმოქმედების აღმსრულებელისაგან, ან დიაკონთა ‌ᲓᲐ მედავითნეთაგან ‌ᲓᲐ სელიც უნდა მოაწერონ მღვდელ-მოქმედების შემსრულებელმა. თუ მღვდელმა თავის ხამრევლოში შეასრულა ნათვლა, ქორწინება ‌ᲓᲐ დამარხვა სხვა ხამრევლო პირთა ზედ, მაშინ ის ვალდებულია მეტრიჩესკის გამოწერილობა გაუგზავნოს მრევლის მღვდელს სახელმძღვანელოდ ‌ᲓᲐ საეკკლესიო ხამეუბათან შესანახავად.

(იხილე მეცხრე ტომის კანონთა-დების 1565, 1573 ‌ᲓᲐ 1567 სტატიები ‌ᲓᲐ კონსისტ. წესდების 103 ‌ᲓᲐ 104 სტატ.)

~~ᲩᲝᲕᲔᲚᲘ მღვდელი ვალდებულია ეს კანონები დაიცვას~~ ‌ᲓᲐ თუ დაწვილებით გამოკვლევის შემდეგ არ აიხსნა ბავშვის მონათვლა, მღვდელმა არ უნდა აღუსრულოს მას წესი, ჩვილთა ზედ დადებული.

ᲩᲩᲕᲘᲚᲘ რომ ერის კაცისაგან იყოს სამ-გზის შთაუვანილი წყალში ‌ᲓᲐ სახელ დარქმეული, ამგვარ მონათლულ ბავშზე უნდა აღასრულოს მღვდელმა ᲩᲩᲕᲘᲚᲘᲡ წესის აგება თუ არა, ან როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, თუ ბავშვი ტოტხადი დარჩა?

ᲘᲡ ᲩᲩᲕᲘᲚᲘ, რომელიც ერის-კაცისაგან იქმნა ემბაზში შთაუვანილი დადებული სიტყვების წარმოთქმით ‌ᲓᲐ სახელი ეწოდა, ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლით მონათლულად ირიცხება. ამისათვის მღვდელმა ამისთანა ერმებზე სიკვდილის შემდეგ ყველა წესები,

რომელიც დადგენილია მათზე, უნდა აღსრულდეს. მაგრამ თუ ურმა ერის-კაცისაგან სამ-გზის წყალში შთაფვლის შემდეგ გარდაიცვალა, ნათლიხდების ჯ მირონ-ცხების წესი მათზედ არა-ვითარი არ შესრულდება; მაგრამ თუ ცოცხალი დარჩა, გარდა ემბაზში ჩაყვანისა ყველაფერი მდგენელ-მოქმედება უნდა აღსრულდეს.

(დაწვლილებით აღსნა ამ კითხვაზე ისიელ „მწყემსის" 1 №-ში 1883 წლისა.)

ნარევი

გაზეთები ჩინეთში. ჰეკინში (ჩინეთის დედა ქალაქია) გამოდის თერთმეტი გაზეთი, რომელთ რიცხვში შედის ოფიციალური გაზეთი სახელდობრ: „ჰეკინის გაზეთი"; ეს გაზეთი უძველესია ყველა გაზეთებზე არამც-თუ ჩინეთში, არამედ მთელს დედამიწაზე. „ჰეკინის გაზეთი" დაარსებულა მერვე საუკუნის დასაწყისში. ამ დროს საბეჭდავი არ ექმნებოდათ და ალბათ ხელ-ნაწერებით ავრცელებდნენ ხალხში და ბოლოს გამოიგონებდნენ ბეჭდვას. ნამდვილად არა ვინ იცის, თუ როდის დაიწყეს ამ გაზეთის ბეჭდვა. ჩინელები კი ამტკიცებენ, რომ იმათ წიგნის ბეჭდვა გამოიგონეს მოძრავი ხის ასოებით ასი წლით ადრე, ვინემ ევროპაში შამოიღებდნენ მოძრავ ასოებს. ჩინელები, როგორც უწინ, აგრეთვე ეხლაც ორს საშუალებას ხმარობენ საბეჭდავად: ხის მოძრავ ასოებს და წმინდა სანთლის ფიცრებს. ჩინეთში გაზეთის გამოცემის ნება აქვსთ უმაღლეს სამსახურში მყოფ პირებს, რომლებიც პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ პოლიციის წინაშე. გარეშე პირებსაც შეუძლიათ გამოსცენ გაზეთი, მაგრამ ამ გაზეთებს მთავრობის წინაშე არაფერი გავლენა არა აქვსთ. თავი გაზეთების რედაქტორებს გაზეთისთვის ცნობები მოსდისთ უმაღლეს სამსაჯულო ადგილებიდგან და ყოველივე ცნობა ხელ მოწერილი უნდა იყოს გამგზავნელისაგან; მხოლოდ როცა თვით სამსაჯულო აგზავნის რამე ცნობას, მაშინ არ არის საჭირო ხელის მოწერა. ოფიციალურ ორგანოებს არა აქვსთ უფლება რამე დასწერონ სხვა სახელმწიფოების შესახებ, ანუ ჩინეთის სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაზე.

ყველაზე უფრო შესანიშნავი მხარე ჩინეთის გაზეთებისა მდგომარეობს შემდეგში: თუ რომელიმე გარეშე პირს, ანუ მოსამსახურე პირს რამე თხოვნა აქვს ხელმწიფესთან, ის უნდა მიიქცეს ხელმწიფისადმი გაზეთის საშუალებით.

რედაქციის პასუხი.

თფილისს. ი. ფ. ყველა თქვენი ლექსების დაბეჭდვა არ შეიძლება; ზოგიერთები დაიბეჭდებიან.

— **მ. პ. კ.** ცნობა ანტონ ქათალიკოზზედ არ იბეჭდება; მიზეზი წერილით გეცნობებათ; მოძღვრება მეორე დიდ მარხვამდის გადავდეთ.

— **კ. მ.** ყველას არ შეუძლია ლექსების წერა. ვინემ სწავლაში ხართ, ეცადეთ სწავლას...

— **მ. ნ. მ.** კარგი იქნება, რომ პროზად დაწერილ რამეს გამოგზავნიდეთ.

— **ბ. ფ—ძეს.** თქვენი სტატია არ დაიბეჭდება, რადგან იმ საგანზე, რომელზედაც თქვენ სწერთ, იყო „მწყემსში" დაბეჭდილი რამდენიმე ცნობა.

ქუთაისს. მ. ფ. გრძელ შესავალს თავი დავანებოთ. პირდაპირ საგანზე დაწერილ რამეს თუ გამოგზავნით, დაბეჭდავთ.

ს. ხიზაბარას. ვ. მ. ძლიერ კარგი იქნება ლექსების მაგიერ საისტორიო მასალებს, ან პროზად დაწერილ რამე ცნობას გამოგვიგზავნიდეთ.

— **კ. ბ—ეს.** ძლიერ ადრეა თქვენთვის ჯერეთ ლექსების წერა.

ახალ-სენაკს. ი. ი. თქვენი სტატია ერთობ უმნიშვნელოა.

დ. საჩხერეს. თ. დ. ფ. თქვენგან გამოგზავნილი საისტორიო მასალა „რაპორტი პილატესი" საეჭვოა და ამიტომ არ დაიბეჭდება.

დ. ს. და ბ—ს. ბბ. მმ. ბ. ბ—ეს და დ. ბ—ეს. ამდენი წერა არ ღირს ბლაღოჩინების ღერბის გამო.

დ. ხოლნს. ტ. ბ. თქვენი სტატია ჩვენი პროგრამის წინააღმდეგია და არ შეიძლება დაიბეჭდოს. რედაქცია არ კისრულობს სტატიების უკან დაბრუნებას.

განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ“.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ მარტის თვიდამ; ფასი მარტიდამ გაგზავნით და გაუგზავნელად—ოთხი მანეთი და ათი შაური, ნახევარი წლისა—სამი მანეთი.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული სასულიერო გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.

საქართველოს ექსარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

სიტყვანი და შესხმანი

ჩადალ ყოვლად უსამღვდელოესის არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, ლდეს საქართველოს ექსარხოსის შავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი—538 კაბადონი.

ფასი სამივე ტომ. ოთხი მან. და ათი შ.

წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და „მწყემსი“-ს რედაქციიდამაც.

სკოლა

დაარსდა 1881 წ.

ვ. ზედგინიძისა და კ. ფერაძისა

ქ. ქუთაისში.

გიმნაზიის ქ. ივ. ნიკოლაძის მემკვ. სახლ.

ჩიღებთ ყოველ-გვარ საქმეებს დასაბეჭდათ, როგორათაც რუსულს, აგრეთვე ქართულს ენებზედ: წიგნებს, ბროშიურებს, ბლანკებს, ჩოტებს, იარლიკებს, ვიზიტნი კარტოჩკებს, აფიშებს, ვექილობის წერილებს, განცხადებაებს და სხვ. ამავე სტამბაში ისყიდება დამზადებული ქართულს ენაზედ მეტრიჩესკის ბლანკები. იმედია, როგორათაც დღემდის კმაყოფილი დარჩენილა საზოგადოება ჩვენი სტამბისაგან, აგრეთვე შემდეგშიდაც — დარჩება, რომ ამ სტამბაშიდ გამოდის საქმე სუფთათ და უნაკლულოთ შედარებით ქუთაისის სხვა სტამბებთან, რომელზედაც თვით პატივცემული საზოგადოება, რომელსაც კი ესმის სტამბის საქმე—დაგვეთანხმება.

Дозв. цензурою Кутаисъ, 14 Мая 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. დამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა ᲙᲐ ფერაძისა.